კვირა, 26 სექდემბერი, 1904 წ. 1877 წელიწადი ოც-და-მეორე 1904 კვირა, 26 სექდემბერი, 1904 წ.

გაზეთის ფასი:

12	თვით	10	მ. — კ.
11	,,	9	,, 50 ,,
10	,,	8	,, 75 ,,
9	,,	8	,, — ,,
8	,,	7	,, 25 ,,
7	,,	6	,, 50 ,,
6	,,	6	,, — ,,
5	,,	5	,, 50 ,,
4	,,	4	,, 75 ,,
3	,,	3	,, 50 ,,
2	,,	2	,, 75 ,,
1	,,	1	,, 50 ,,

ივერია

№ 222 ყოველ დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი № 222

ფლიურის ფასის ნაწილ-ნაწილად შემოტანის ვადა

1. ხელის მოწერის დროს—5 მ. და თიბათვის 1-ს—5 მ.

2. ხელის მოწერის დროს—4 მ., მარტის 1-ს—3 თან. და მარიამობისთვის 1-ს—3 მ.

3. ხელის მოწერის დროს—3 მ., მარტის 1-ს—3 მ., თიბათვის 1 ს—2 მ. და ენკენისთვის 1-ს—2 მ.

ვინც ამ ვადაზედ ფულს არ შემოიტანს, გაზეთის გაგზავნა მოესპობა.

„ІВЕРІІІ“ РЕДАКЦІА ამით აუწყებს ქართველ საზოგადოებას, რომ ოთხშაბათს, 29 სექდემბერს, კათოლიკეთა მიძინების ეკკლესიაში გარდახდილ იქმნება მესსა (წირვა) და პანაშვიდი ახლად გარდაცვალებულის

სტეფანე კონსტანტინეს ძის ზუბალაშვილის

სულის მოსახსენებლად და სთხოვს მის ხსოვნის პატივის-მცემელთ დაესწრონ ღვთის მსახურებას. (4—რ.—2).

ორშაბათს, 27 სექდემბერს, დილის 11 საათზედ, რომის კათოლიკეთა მიძინების ეკლესიაში, კათოლიკეთა ქუჩაზედ, ანდერძს აუგებენ ახლად გარდაცვალებულს

სტეფანე კონსტანტინეს ძის ზუბალაშვილის

გვამს. ხვალ, კვირს, 26 სექდემბერს, საღამოს 8 საათზედ, ამავე ეკლესიაში გარდაიხდიან პანაშვიდს განსვენებულის სულის მოსახსენებლად. დასაფლავება მოხდება კათოლიკეთა ძველს სასაფლაოზედ. (2—ნ.—2)

ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

„ІВЕРІА“

პირველ ოკდომბრიდამ წლის დამლევამდე ჰღირს . . . 3 „ 50 კაპ.

ბიბლიოთეკა-სამკითხველოებისა, სტუდენტებისა და ხელოსნებისათვის ჰღირს:

პირველ ოკდომბრიდამ წლის დამლევამდე ქალაქში . . . . 1 „ 75 „

„ „ „ „ ქალაქ გარეთ . . 2 „ 50

გაზ. „ივერიის“ **კანტორა** ყოველ-დღე ღია არის—დილის 9 საათიდამ 3 საათამდე და საღამოს 5 საათიდგან 8-მდე; კვირა და უქმე დღეს—12 საათ. 2 საათამდე.

ხელის-მოწერა მიიღება:

ტფილისში:—„ივერიის“ რედაქციაში (თავად-აზნაურთა ქარავსლა №№ 117 და 118) და ქ. შ. წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების წიგნის მაღაზიაში (სასახლის ქუჩა, თავ.-აზნაურთა ქარავსლა).

ქუთაისში:—წიგნ. გამომც. ამხანაგობის კიოსკში, ბეჟანიშვილის და წერეთლის წიგნის მაღაზიაში.

ბათუმში:—ნიკოლაძის ჟურნალ-გაზეთების სააგენტოში და ბელიძის წიგნის მაღაზიაში.

სახუნჩაში:—პეტრე მაჭავარიანთან.

ფოთსა-ბაკანში:—პართენ ნასიძესთან.

ბორჩში:—ანტონ კასრაძესთან.

საფოსტო ადრესი: Тифлисъ. Редакція „Иверіа“.

ხუთი ახალი წიგნი

წიგნის მაღაზია „ცოდნა“-ს გამოსცემა.

ილია ჭავჭავაძის ლექსები.	15 კაპ.
რაჟა, სოსიკო მერკვილაძისა	20 ,,
რაშია ბედნიერება, იასე რაქველისა	10 ,,
სამშობლო და კაკაბრიობა, ივ. მაჭავარიანისა . . .	10 ,,
ნაკვესები ქართველ მწერალთა და ბრძენთა ნათქვამი . .	7 ,,

ვინც ჩვენ მიერ გამოცემულ წიგნების, თვითეულ გამოცემიდგან იყიდის არა ნაკლებ ერთის მანეთისას, ყოველ მანეთში დაეთმობა თითო აბაზი. მისამართი: Тифлисъ, книжный магазинъ „ЦОДНА“. (40—40). მაჯაზიის პატრონი სოსიკო მერკვილაძე.

გაზეთ „ივერიის“ რედაქციამ შესაძლებლად სცნო ა. სუმბათაშვილის 5 მოქმედ. დრამა-ლეგენდა

ლალაგი,

თარგმნილი გრ. ყიფშიძის მიერ, დაეთმოს მსურველთ 50 კაპ.

ვინც ათ ცალს ანუ მეტს მოიმოიტანს, თითო წიგნები დაეთმობა ორ აბაზად, აგრეთვე ფას დადებით დაეთმობათ მსურველთ გაზეთ «ივერიის» მიერ გამოცემული შორეულ აღმოსავლეთის დაფერადებული

ქართული რუკა

თითო ცალი 10 კაპ.

ვინც ათ ცალს ანუ მეტს წაიღებს, დაეთმობათ თითო ცალი 5 კაპ.

ტფილისის სახელმწიფო თეატრი.

ანტრეპრიზა საიმპერ. თეატრის არტისტის

ლ. დ. დონსკოისა

კვირას, 26 სექდემბერს,

წარმოდგენილი იქნება

დუბროვსკი

ოპერა 5 მოქ., მუს. ე. ნაპრავნიკისა.

მოწაფეთა-ოპერას მიიღებენ: ქ-ნნი ანტონოვისა, ვიკშემსკისა, ნიკიტსკისა, ბუნაკოვისა, და სხვ.; ბ-ნნი ბაეფსკისი, დონსკოი, კომაროვი, პოლუეანოვი, დემიანენკო, სპერანსკი, ბაგროვი, ზალინსკი, მურატოვი და სხვ.

ბალეტს განაგებს **ჯიიმპასსი.** პრიმა-ბალერინა **ლენჩევსკაია.**

უფროსი რეჟისორი ს. ფ. **ბეტეკინი.** კაპელმეისტერი ა. ეიხენვალდი.

ფასები ჩვეულებრივია.

დასაწყისი 8 საათზე.

რადგანაც ორშაბათს გაძლიერებული რეპეტიციები ოპერისა «**იოანნ ლეიდსკი**», ამიტომ წარმოდგენა არ იქმნება.

სამშაბათს, 23 სექდემბერს,

წარმოდგენ. იქნება

კარმენ

ოპერა 4 მოქმ., მუსიკა ბიზეისი.

ოთხშაბათს, 29 სექდემბერს,

წარმოდგენილი იქნება

ევგენი ონეგინი

ოპერა 3 მოქმ. 7 სურ., მუს. ჩაიკოვსკისა.

მზადდება პირველად ტფილისში «**ნარონი**», მუსიკა ა. რუბინშტეინისა.

ბილეთები იყიდება.

გამგე ი. კედლერი.

საბაგარაკო ადგილი

ზემო ავჭალაში, მირზოევისეულ ბაღში, იყიდება პატარა ნაკრებად: 100, 200, 300 საჟენითით. საეენის ფასი 3 მანეთი. მსურველთ მიმართონ შიო დავითიშვილს, «ივერიის» რედაქციაში.

გამოვიდა და ისყიდება ყველგან

ნაწერები ს. მესხისა

ტ. I. II+533 გვ.

ავტორის სურათით და ავტოგრაფით, გამოცემა ს. ფარცხალავასი. ფასი ერთი მ. უმთავრესი საწყობი «წ. კ. გამავ. საზოგადოებაში».

კერძო სამკურნალო

ექიმის დ. ა. ბედევანიშვილისა

კუკია, ველიკოკნიაგინსკის ქუჩა წინად Набережная, სახლი აბრამოვისა № 9, მიხეილის ქუჩიდგან-კი № 34.

ტელეფონი № 274.

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე.

დ ი ლ ი თ:

ა. ი. ბალარაჯიშვილი—ბავშვებისა, 9½—10½ ს.

ნ. ტ. ბულინი—ყურისა, ყელისა და ცხვირისა 10—11 საათ.

ლ. ი. კაბოევი—საშარდესი, ვენერიული და ბირურგია. 11—12 საათ. ყოველ დღე.

მ. ი. კიბოლტი—ბირურგია—კვირობ., სამშაბათ., ხუთშაბათ. და შაბათ. 11½—12½ საათ.

მ. კ. იოსელიანი—ქალისა და საბებია, სამშ., ხუთშ. და შაბათ. 12—1 საათ.

დ. ა. ბედევანიშვილი—შინაგან, ნერვებისა და ელექტროტერაპია ყოველ დღე 12—1 ს.

ა. ნ. დიასამიძე—სიფილისისა და კანისა 12½—1½ საათ.

გრ. ვ. ნოგოლევსკი—ბირურგია და ორთოპედია: ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკევობით. 1—2 საათ.

პ. ა. ბეიერი. შინაგანი და ბავშვებისა. 1—2 საათ. ყოველ დღე.

ლ. მ. მოლინი. ქალისა, საბებ. და ბავშვ. შემოწმება ძიძებისა ორშაბათ., ოთხშაბ. და პარასკევობით 2—1 საათ.

ვ. ს. ბუსალესაშვილი—თვალისა ყოველ დღე, გარდა სამშაბ. და კვირ. 2—3 საათ.

ს ა ღ ა მ ო თ:

გრ. ვ. ნოგოლევსკი—ბირურგია და ორთოპედია 5—6 საათ.

ტ. ს. დავიდოვი—შინაგანი და ბავშვებისა 5—6 საათ.

სამკურნალოში ჭმდება ქიმიურ-მიკროსკოპიული ბაქტერიოლოგიური გამოკვლევანი.

რჩევა-დარიგება 50 კ., ოპერაციები მორიგებით. კროტები 3—5 მანეთამდე დღე-ღამეში. სამკურნალო გაფართოვებულია ოცის კროტით.

ტელეფონი № 274

(ფ.)

პირველი კერძო სამკურნალო

ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, ეორონცოვის ძველის პირდაპირ) ავადმყოფნი იღებენ ექიმი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დ ი ლ ა მ ო ბ ი თ:

უ. ვ. ჩიტოლანი. 9 საათიდგან 10 საათამდე თვალისა., შინაგანისა და ნერვების ავადმყოფობისა.

ვ. ბ. ავეტისიანი. 11—12 საათამდე—კანისა, და ვენერიულ ბირურგიულ ავადმყოფობისა.

ი. ბაბანასოვი. დილის 10—12 საათ. ქალისა და ბავშვთ. ავადმყოფობანი.

კ ი. ბაბეშვილი. 12—1 საათ. ყელისა ყურისა და ცხვირის სატკივრისა.

ბ. ა. თარხანოვი. 1—1½ საათ. შინაგანის და ბავშვებისა.

ა. ვ. ქარაპეტიანი. 1—1½ საათ. შინაგან და ბავშვების ავადმყოფობისა—ხუთშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით.

ბ. სოლოდოვშვილი. 9—11 საათამდე კბილების ავადმყოფობანი.

ს ა ღ ა მ ო ო ბ ი თ:

ნ. ნ. როსტომაბეოვი. 5—6 ს. ბირურგიული და კანის ავადმყოფობისა (ელექტროთერაპია).

ბ. ს. ელვი. 6—7 საათ. ნერვებისა (ელექტროტერაპიისა), შინაგანი და ვენერიულის ავადმყოფობისა.

ქალი ექიმი **ა. ი. ჭიერანინა.** 7—7 საათ. ქალისა და საბებია ავადმყოფობისა.

ვ. ა. თარხანოვი. 7½—8 საათ. ბავშვებისა და შინაგანი ავადმყოფობანი.

ს. ტ. არავანიტაკი. 11—1 ს. უკეთებს სახლში და მსურველთ მასსაჟს», ეუკრის ყვავილს გამართავს საექიმო გიმნასტიკას ექიმის დანიშნით.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური, ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კანსილიარიებისა და ოპერაციებისთვის—მორიგებით.

დირეკტორი სამკურნალოსი დოკტორი **ქ. ბაძელიშვილი.**

Первая частная лѣчебница д-ра *Навасардіана*. Тифлисъ противъ памятн. Воронцова. ფლ.

ქართველნი მკურნალნი:

ბედევანიშვილი მიხეილ,—ყორდანაგის ქუჩა, № 16, საკუთარი სახლი. სადამოს—67 საათამდე.

ბაძელიშვილი კონსტანტინე ელისაბედის ქუჩა. სახლი მიდგომისა. № 5

ბაბაბეშვილი გრიგოლ,—კოჩუბეის ქუჩა, № 19.

ვაფაძე სპირიდონ. პეტერბურგის ქუჩა საკუთარი სახლი.

დიასამიძე ალექსანდრე,—დორანაშვილნიკოვის და ბარანის ქუჩის კუთხე, ფოსტის პირდაპირ მესხიშვილის სახლი, № 18, იღებს ავადმყოფებს დილით 9—11 და საღამოთი 6—8-დე.

ომის ამბები

დეკეშები და წერილები.

ვ. ნემიროვიჩ-დანჩენკოს დეპეშა.—პორტ-არტურთან.—ჩინელების თანაგრძნობა.—რად ეხოცება რუსებს უფროსი აფიცრები?—იაპონელების განზრახვა.

მუკდენიდგან ვას. ნემიროვიჩ-დანჩენკო დეპეშით იწერება 20 სექდემბერს:

ჩვენის შუბლის ჯარის სიწყნარე მტერმა დაარღვია გუშინ, 19 სექდემბერს. მდიარე შახეზე გადბულ ხიდიდგან ოთხის ვერსის სიშორეზე გადებულ ხიდგან ოთხის ვერსის სიშორეზე დასავლეთისაკენ იაპონელების რაზმი გამოჩნდა, გაიშალა და სროლა ასტეხა. ჭსკოველები მტერს დაუხვდნენ და გაჰფანტეს. იაპონელებმა რვაჯერ ისროლეს, მოკლულ-დაჭრილები საჩქაროდ მოაგროვეს და გაოლინში მიიმალნენ.

დღე ცხელა, ღამე ცივა, მტრის მოკავშირეს—გაოლინს დღე ელვეა; გაჭრას შეუდგნენ.

სახადმა იმსხვერპლა მღვდელი კურლოვი, რომელიც თავგანწირულად უვლიდა დაჭრილ ავადმყოფებს.

ინკოუში, იაპონელების შესვლის შემდეგ, ვაჭრობა თითქმის შეჩერებულა. ადგილმბრიეი მცხოვრებლები სწუხან თურმე, რომ ჩვენ მიგატოვეთ. ჩვენს მტერს ყველაფერი შინიდგან მოსდის ზღვით, სურსათის გარდა. წვრილ ამბებს არ ვიმეორებ, რადგან ერთმანერთს ეწინააღმდეგებიან. (რ. ს.).

პორტ-არტურიდგან გაპარული და ჩიფუს მისული ჩინელები იუწყებიან, 12 სექდემბერს ციხესთან ცხარე ბრძოლა იყოო. ციხეს იცავდნენ იმ გემების მეზღვაურნიც, რომელნიც პორტ-არტურის ნაოსნადგურში დგანან, 10,000 კაცამდე, თავის აფიცრებით. პორტ-არტურში ეხლაც მრავალი იაპონელების ჯაშუშებია, რომელნიც როგორღაც ახერხებენ და იაპონელებს ყველაფერს ატყობინებენ, რაც კი ციხეში მოხდება. მეციხოვნეებს ტანსაცმელი აკლიათ, მაგრამ ციხეში მაუდი ბლომად არის და აფიცრის ცოლები გულდადებით ჰკერენ. ქალაქში ხშირად სცდება იაპონელების ყუმბარები. ერთს სახლს, სადაც საარტილერიო მასალა იყო, 57 ყუმბარა მოხვდა.

«ბერლ. ტაგ.»-ში თვალსაჩინოდ არის აწერილი პორტ-არტური თავის მიდამოებით. ავტორი იმ აზრისაა, რომ ციხის აღება იერიშით შეუძლებელია.

იაპონელებმა კანკუნის, სიონზესა და შიტაზოს მაღლობები დაიპირეს. ამ მაღლობებსა და პორტ-არტურის შინაგან ფორტებს შუა ვაკე ადგილია. აქა-იქ პატარა სერია ამართული. ეს ვაკე სამად შეიძლება გავანაწილოთად. აღმოსავლეთად, რი-უეშუანის მთებზე, 12 ფორტია. ერთს ბეთგანზე დიდი ზარბაზნებია, რომლის ყუმბარა 500 გირვანქას იწონს. ყოველ ფორტს გარშემო წყალი არტყია და თხრილი მავთულით არის შემოვლებული; მთელი პოლკები უნდა დაიღუბოს, რომ ამისთანა ფორტი იერიშით აიღონ.

ამ ფორტებს ცალ-მხარეს რკინის გზა და პატარა მდინარე ჰკოფს მეორე ფორტებისაგან, რომელთაგან ერთი ვეფხის მთის ჩრდილოეთად არის და დაჰყურებს მთელს მიდამოს შინშუილინის სამხრეთ აღმოსავლეთის მხარეს.

მესამე რიგი ფორტებისა დასავლეთისკენ არის მაღლობებზე და ოთხ ნაწილად იყოფა.

ზღვის ნაპირსაც სამი რიგია საუკეთესო ფორტებისა: აღმოსავლეთის, საშუალო და დასავლეთისა.

ამათ გარდა მოშორებითაც არის ფორტები, რომლებსაც საგარეო ფორტები ეწოდება.

პორტ-არტურს გარშემო სულ 400 ზარბაზანია (ბ. ვ).

—

მუაედენიდგან იწერებიან, იაპონელები ქრთამავენ, იტყუილებენ და სხვა და სხვა სამსახურს ავალებენ ჩინელებს. მაგრამ ამავე დროს უდიერად ეპყრობიან იმ ჩინელებს, რომლებიც რუსებს თანაუგრძნობენ ამას წინად ფუშუნთან ჩინელი პოლკოვნიკი ლისუჩინი თავინ სალდათებმა მოჭალეს, რომლებიც იაპონელების მოყიდულნი ყოფილან. ლისუჩინს უთანხმოება ჰქონია ჩინელ მოხელეებთან, ამის გამო სამსახურიდგან გამოსულა და კერძო საქმეებისთვის მოუკიდნია ხელი. ომი რომ დაიწყო, ფორტის მოხელეობა უკისრნია. ახალგაზდა და ენერგიიენ პოლკოვნიკს ბრძოები ჰყოლია დაქირავებული, რომლებსაც ფოსტა დაჰქონდათ ყველა მხარეს. რუსები ძალიან ემადლიერებოდნენ, რადგან ერთგული და მოხერხებული კაცი იყო და ყოველგვარ დავალებას მტკიცედ ასრულებდა. (ბ. ვ.).

—

«რეიტერის სააგენტოს» კორრესპონდენტი მიზეზებს იძიებს, რისგან არის, რომ რუსებს მრავლად ეხოცებათ ომში უფროსი აფიცრები და იაპონელებს კი ნაკლებად; რისგან მოხდა, რომ არც ერთი იაპონელი გენერალი არ დაჭრილა. მიზეზი ის უნდა იყოს,—ამბობს კორესპონდენტი, რომ სარდლის. მოვალეობა რუსებსა და იაპონელებს სხვა-და-სხვა ნაირად ეყურებათო.

იაპონიის ჯარის გენერალი განკარგულების მამცემია; რუსები კი ძველს, სკოპოლევისებურ ჩვეულებას ადგიან, რომელიც თხოულობს, რომ სარდალი თავის ჯარის წინ უნდა მოქმედდეს ბრძოლის დროს, იაპონელების ბანაკიდგან კარგა მოანს, რომ რუსის აფიცრები თეთრს ტანსაცმლით თავის რაზმების წინ დადიან ცხენით. რუსის ბანაკიდგან-კი იაპონელ აფიცრებს ვერ შეამჩნევენ, რადგან ტანსაცმელით ისინი დაბალ ჯარისკაცებში არ ერჩევიან. გენერალი კუროკი თავის გენერლებით ყოველთვის თავის ლაშქრის უკან არის ბრძოლის დროს და განკარგულებას აძლევს ტელეგრაფით ანუ ტელეფონით.

ელექტრონს არც ერთს ომში ისეთი დიდი მნიშვნელობა არა ჰქონია, როგორც ეხლა. ყოველ ბრიგადის გენერალს, როგორც ეხლანდელ ელჩს, მავთულის ბოლო უჭირავს და დივიზიის გენერალის ბრძანებას ისმენს, როგორც დივიზიის გემრალი—კორპუსის უფროსისას. ტელეგრაფი იაპონელებს ისე სწრაფად გაჰყავთ, რომ გასაოცარია. როდესაც სადმე სროლა ასტყდება, სატელეგრაფო დასი-ც შინვე ცხენენ მიაჯაჭვა და გაიგზავნება. თან ბამბუკის ბოძები მიაქვთ, რომლებსაც აჭა იქ აარჭობენ. ეგენ კუბოები მისდევენ მავთულის გასაგრძელებლად და მავთულს სარებს აკრავენ. ტელეფონი უკვე მზადაა.

არავითარი ნიშანი არა სჩანს, რომ რუსებსაც ამგვარად ესარგებლნაო ტელეგრაფ-ტელეფონით. არსად არ არის არც ბოძი, არც მავთული, გარდა ჩინელების ძველი ტელეგრაფისა. რომელიც ანდუნდგან პეკინამდე იყო გაყვანილი ნოვ.).

—

გაზეთ «რუს. სლოვოს» თანამშრომელს უნახავს გენერალ-მაიორი რომანოვი, რომელიც ომის ველიდგან დაბრუნებული და უბასნია მასთან. იანძელინის უღელტეხილზე გენერალს ცხენი დაჰფრხობია, გენერალი კლდეზე გადაჩეხილა, ესა მოსტეხია და მუხლი გადასტეხია. რადგანაც მალე მორჩენის იმედი არა ჰქონდათ, გენერალი რუსეთს გამოუგზავნიათ და ეხლა ყირიმში აპირობს წამლობას.

გენერალმა, სხვათა შორის, უთხრა გაზეთის თანამშრომელს:

—ჩვენი სალდათი მომმიმნია და ამტანი, რა გაპირვებაც უნდა დაადგეს, საყვედურს მასგან ვერ გაიგონებ. ეს კი უნდ ესთქვა, რომ აქამდე ჩვენს სალდათს გაპირვება არ უნახავს. ეხლა კი მართლა რომ გაუჭირდება, თუ რომ თბილი ტანისამოსი მალე არ მიაშველეს. ზაფხულში, მაგალითად, თუ ჭრილობა გინდა შეუხვიო და ფალასი არ გაქეს, შეგიძლია ამისი პერანგი დაფხრიწო და ფალასად აქციო. ჭრილობას რომ შეუხვევ, სალდათი უპერანგოდაც კარგად იცლის, ზამთარში კი ეს არ შეიძლება.

— როგორ გგონიათ, გენერალო, იაიაპონელები მუკდენს გამოსცილდებიან? მაგალითად, ხარბინამდე იველიან?

— იქ რომ მოვიდნენ, ჩვენთვის კარგი იქნებოდა, მაგრამ ისინი იმდონად გონიერები არიან, რომ მაგას არ გაბედენ. მე მგონია, მუკდენს არ გამოსცილდებიან.

— ეხლაც ხომ იმათ მეტი ჯარი ჰყავთ?

— უეჭველია. ჩვენ მხოლოდ კავალერიით ვჯობნით იაპონელებს. სამწუხაროდ, აქამდე კავალერია თითქის უსაქმოთ იყო: მთა გორებზე კავალერიამ რა უნდა გააკეთოს. ვაკეზე რომ გამოველეთ, გაოლიანი დგებოდა და კავალერიამ ფთა ვერ გაშალა. თუმცა ჩინელები სრეიან გაოლინს, მაგრამ მაღალ-მაღალ ღოროსა სტოვებენ, ამისთანა ხნულში ცხენს არ გაიკვლევა. ჩვენი არტილერია ეხლა კარგა მოჰქმედობს. მისი ძალი და სისწრაფე საოცარია, მტრის არტილერია რომ გამოჩნდება, სრწაფ სუტუკასავით დავაყრით ყუმბარებს და მეზარბაზნებს სულ გავაწყობთ. იაპონელების ტყვიის ჭრილობა მალე რჩება. წინანდელი ტყვია რომ მაგონდება, შიშს ზარი გეცემა. ვერ წარმოიდგენთ, რანაირი ჭრილობა რჩება. ზოგს ფილტვები აქვს გახვრეტილი, ზოგს გული და ცოცხალია. ჩვენი ტყვია იაპონელებისაზე ცოტა დიდია და უფრო მძლავრია. იმათი ტყვია მუცელსა და თავში დაჭრილსაც კი არა ჭლავს. გენერალს ფომინს, მაგალითად, ტყვია თავში მოჰხვდა და ტვინიც კი დაუზიანა. ეშინოდათ, ანთება არ მოუვიდესო, მაგრამ გადარჩა,

გენერალი ღიდი აღტაცებით ლაპარაკობს ქმედებისა და სათნოების დების მოქმედების შესახებ. ბოლოს კორესპონდენმა ჰკითხა:

პორტ-არტური დიდხანს გასძლებს?

— უკანასკნელ უკუმბარამდე და უკანასკნელ გამახმარ ლუკმამდე. მაინც და მაინც მეკიხოვნენი არ დამორჩილდებიან. მტერს დიდი ბრძოლა და დიდი მსხვერპლი დასჭირდება.

ტფილისი

*** დღეს, 6 სეკდემბერს, საღამოს 8 საათზედ, რომის კათოლიკეთა მიძინების ეკლესიაში, კათოლიკეთა ქუჩაზედ, გარდახდილ იქმნება პანაშვიდი სტეფანე კონსტანტინეს ძის ზუბალაშვილის სულის მოსახსენებლად. გაახვენებულის გვამი გუშინ საღამოს უკვე მოასვენეს ტფილისში.

*** საქართველოს ეპარხოსი ალექსი დღეს, 26 სეკდემბერს, სწირავს ვერის წმ. იოანე ღვთის-მეტყველის ეკლესიაში.

*** ტფილისის კომენდანტის თანამდებობის აღმასრულებლად პოლკოვნიკ ტემნიკოვის მაგივრად, რომელიც დროებით ასრულებდა ამ თანამდებობას გენ.-ლეიტ. ი. ნ. რეიტერის გარდაცვალების შემდეგ, დანიშნულ იქმნა გენერალ მაიორი ვ. ფ. რიდსკი.

*** რადგანაც რკინის გზის ბაკურიანის შტო მეტად მცირე შესავალს იძლევა, გზათა სამინისტრომ საპირომ სცნო მოახდინოს ახალქალაქ-ბაკურიანის რკინის ტახნიკურად გამოკვლევა და თუ რაიმე მადანი აღმოჩნდა, მაშინ გარდასწყვეტა საკანი იმის შესახებ, გაკრძელებულ იქმნას ეს შტო ქალ.-ახალქალაქამდე, თუ არა.

სტეფანე კონსტანტინეს-ძე ზუბალაშვილი

დაიბადა 1860, † 1904 წელს.

*** დღეს, 26 სეკდემბერს, კრება ექმნება ტფილისის საკომერციო სასწავლებლის საეკლესიო-ეკონომიკო საბჭოს წევრთა.

*** დღეს. 26 სეკდემბერს, დილის 11 საათზედ, კრება ექმნება ქართულ წარმოდგენების გამმართველ ამხანაგობას სხვა და სხვა მიმდინარე საკმეთა განსახილველად. კრება მოახდება ქართული დრამატიულ საზოგადოების კანტორაში, სასახლის ქუჩაზედ, იმედია, წევრები დაესწრებიან.

*** 23 სეკდემბერს ხხდომა ჰქონდა ქალაქის ხორცის დუქნების გამგე კომისიასა, რომელმაც განიხილა ტფ. საქალაქო საქმეთა საგუბერნიო საკრებულოს დადგენილება, რომელითაც ქალაქის საბჭოს-მიერ დადგენილი ხორცის ნიხრის მოსპობის შესახებ არ იქმნა დამტკიცებული. კომისიამ განიხილა ეს საკანი და იმ დასკვნამდე მივიდა, რომ, თუ არსებულ ნიხრით ვეკიდეთ ხორცი, ქალაქის ხორცის დუქნების არსებობა შეუძლებელიაო. ამის გამო დადგენილ იქმნა, მოახსენდეს ქალაქის საბჭოს მახლობელ სხდომას, განვაგრძოთ ქალაქის ხორცის დუქნებში ვაკრობა და გავუძღოთ შემდეგშიაც ზარალს, თუ მოვახდინოთ ქალაქის ხორცის დუქნების ლიკვიდაციაო.

*** 22 სეკდემბერს ბაქოში ხოლერით ავად გახდა 11 კაცი, 7—მოკვდა.

*** განჯის გუბერნატორმა აცნობა 24 სეკდემბერს კავკასიის უმაღლესს მთავრობას, რომ 22 სეკდემბერს ბაქოდგან განჯის სადგურზედ მოსულ მატარებელში აღმოჩნდა ორი ხოლერით ავადმყოფი მგზავრია. ერთი უკვე მოკვდა ხოლო მეორეს რა დაემართა არ იცინან. ქალაქ განჯაში სხვა არავინაა ავად.

*** ბაქოდგან ტფილისს მომავალ მატარებელში 22 სეკდემბერს განჯის სადგურზედ აღმოაჩინეს ხოლერით საეკვო ავადმყოფი, რომელიც მატარებლიდგან გადასვეს ამ მატარებლის ყველა მგზავრები ტფილისის სადგურზედ მეურნალემმა გასანჯეს.

*** ბაქოდგან ტფილისს მომავალ მატარებელებისა და იქიდგან მოსულ მგზავრების შესახებ დაწესდა საეკიმო ზედამხედველობა. ბაქოდგან მოსულ ყველა მგზავრთა შესახებ მოდიცია ცნობებს აწვდის საქალაქო სასანიტარო-აღმასრულებელს პოლიციას, რომელიც 5 დღე ღამის განმავლობაში თვალ-ყურს ადევნებს მგზავრის ჯანმრთელობას.

*** თელავიდგან ტფილისში ჩამოვიდა ერევნის გუბერნატორი ტ. ს. გრაფი ვ. ფ. ტიზენჰაუზენი.

*** ტფ. ქალაქის საბჭოს საფინანსო

ᲕᲔᲚᲔᲢᲝᲜᲘ

მარად დაუვიწყარს ს. კ. ზუბალაშვილს.

მოსწყდა ვარსკვლავი წმინდა. ელვარე,
თან წარიტაცა უმანკო სული:
კეთილი, წყნარი, ხალხის მოყვარე,
ვით ანგელოზთა დასთა-დასული!

—

აქ მიგვატოვა ობოლი ობლად;
ისედაც ჩაგრულთ მოგვეკალა გული;
და ბედშაობით გაუხარეს ბრალს,
დაგვირთო მძიმე წყლულზედ წყული.

—

დიახ!... უდროოთ მოგვტაცა ბედმა
ქველმოქმედებით ხალხის მშველელი,
და დღეის შემდეგ ვინ გვეყოლება
შენებრ სტეფანე... შენებრ მფარველი?!

—

შენ ღირსი იყავ დიდხანს ცხოვრება,
კეთილად გემსურა ხალხისა ჭირი,
მაგრამ განგებამ ასე ისურვა...
ამასა ვგლოვობ, ამასა ვსტირი!!

—

და ჩემთან ერთად შენსა ცხედარსა
ცრემლებსა აფრქვევს ქართველი ერი,
მწუხარე გულით გასალმებიან
სამუდამოთა ყრმა და ხნერი.

—

იტირეთ, მარად ბედით ჩაგრულნო,
რადგანაც დასცხრა აწ ქველი ხელი...
იტირეთ! თქვენთვის არვინ ყოფილა
მაგაზე უფრო მეტად მზრუნველი.

—

მაგრამ სოფლისა ამაოებამ
დაუნდობელად დაგვრია ხელი;
გულში დაგვრჩება მარად და მარად
ქველო მოქმედო, შენი სახელი!!

ᲓᲐᲕᲘᲗ ᲒᲘᲠᲩᲔᲑᲐᲨᲕᲘᲚᲘ.

ᲡᲢᲔᲤᲐᲜᲔ ᲖᲣᲑᲐᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲮᲡᲝᲕᲜᲐᲡ.

სტირის ქართველი დღეს და ჰგლოკობს მამულის შვილსა,
ქველმოქმედისა კუბოს მორწყავს მდუღარე ცრემლით,
თანაუგრძნობდა ვინც სამშობლოს გულის ტკივილსა,
უკვე დაჰკარგა... ის განვიდა ამიერ სოფლით...

ჩვენი სამშობლოც, მისგან მეტად დავალებული,
ძაძით მოსილი ლირსეულს ვილის დასტირის თავსა...
მოულოდნელის დასაკლისით დანაღვლებული
მთელის ძალღონით ზიზღით სწყევლის
სიკვდილსა შავსა.—

ვინ იცის, ეგებ, როს სამშობლოს განშორებული
წუთისოფელსა სამუდამოდ ეთხოვებოდა,
საქართველოსკენ მოიწევედა ამისი გული
მამულის ნახვა მომაკვდავსა ენატრებოდა...

ვინ იცის, ეგებ ნატრულობდა კიდევ სიცოცხლეს,—
მომმისთვის ღვაწლი, მისთვის შველა
კეთილად სწყეროდა,—
წარმოიდგენდა რა სოფლისა თანაც სიმეხთლეს,
თავის უდროოთ სიკვდილისთვის ბედს
ემდუროდა.

ვინ იცის, ეგებ სიკვდილის წინ ევედრებოდა
ღმერთს თვის მამულის აღყვავება—ბედნიერებას,—
თვის სამშობლოში მას დამარხვა ენატრებოდა,—
და ისურვებდა იქ განრღვეულს და დამიწებას.

ᲐᲮᲠᲘ ᲡᲢ. ᲙᲐᲠᲘᲡ ᲖᲣᲑᲐᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡᲐ ᲩᲕᲔᲜᲡ ᲡᲐᲮᲝᲖᲒᲐᲓᲝᲔᲑᲐᲡᲐ ᲓᲐ ᲛᲤᲐᲠᲔᲚᲝᲑᲐᲖᲔ.

როცა კი შემთხვევა გვქონდა, სიმამაცნებით ვადაეცნებდით თვალ-ყურს აწ განსვენებულ სტეფანე კონსტანტინეს ძის ზუბალაშვილის ახრსა და მსჯელობას ჩვენს საზოგადო ცხოვრებისა და მწერლობის შესახებ. ინტერეს მოკლებული არ უნდა იყოს, ვგონებ, მკითხველთათვის, განსაზიაროთ, თუ როდის და რა ახრი წარმოუთქვამს ამ კეთილშობილს კაცსა, და ეუშალიტს მამულიშვილსა.

ერთ ქართულ დროოგამოშვებით გამოცემას მცირედი გაპირვება ჰქონდა. მიმართეს სტეფანე კონსტანტინეს ძეს და დახმარება სთხოვეს. შეიწყნარა თხოვნა და სთქვა:

მზადა ვარ, არამც თუ ერთხნრობით დავეხმარო, არამედ მუდამ, ვიდ-ე ეგ ორგანო ფეხზედ დადგება. დიდად პატივსა ვსცემ ქართველთა თუ სხვა ტომის მეშთა და ხელოსანთა განათლების საქმეს. ოღონდ ღწსავლან რამე, ოღონდ გონება განეკვითარონ ამ მეშვესა და ხელოსნეს და მე ყოველთვის მზადა ვარ ამისთანა საქმეს გულითა და სულით თანაეწერნო. რა უფრო კარგია, მეშა და ხელოსანი უმეცარი და გაუგონარი იყოს, თუ გაგებული და პატიოსანი? რასაკვირველია, კარგია, როცა მეშა თუ ხელოსანი ვაგებულია, გონება განვითარებული. ამისთანა საქმისათვის როგორ დავიშურებ რასმე? თუ ჩვენ არ შეეიდეთ თავს ამ საქმეში, სხვა უფრო რას შეგვეწევა. ეცადონ კარგი წერილები სწერონ, ხალხი მოამზადონ ცოდნით, ერთმანერთის სიყვარული გაუდვიძონ და ვინ იქმნება ისეთი, რომ ამ კეთილ საქმისათვის დახმარება არ მისცეს. მოგახსენებთ, რომ მეშვისა და ხელოსნებინ გადამიანენ სათვის არას დავიშურებ და, არამც თუ ერთ ხნობით, არამედ ყოველთვის აღმოვიჩენ შეწყობას.

მეორე გამოცემასაც აღმოუჩინა შემწეობა, რაკი გიგო მისი ნიჭიერი ხელ-მოკლეობა. როცა მადლობა გადაეხადნათ, სტეფანეს ეთქვა პასუხად: «ეგეც მადლობელი ვარ, რომ ჩვენს მამა-პაპათა შესახებ ცნობებს აგროვებთ და ამხეებთ. მოგეხსენებად კარგად, რომ დიდის გულგრილობის ფრო დადგა. ქართველთა ოველი ამბავი და გარემოება სინტერესოდ არ მიგვინია, ვივიწყებთ, უგულებულ ვყოფთ. მზრუნველი, პატრონი და შემკრებნი ცოტანი არიან. აი, ქართველ კაცოლიკეებზედ სულ დაიკარგებოდა ამბები, რომ არ შეკრებილიყო. მე მზადა ვარ, საქართველოს ისტორიულ წიგნების დასაბეჭდათ, ძველ ამბების და ხელნაწერების აღსადგენად ყოველთვის გავიღო ხარჯი. ამის მეტი რაღა დავჯრნენა, რომ ისტორიულის წიგნების დასაბეჭდათ დახმარება არ მოგცეთ. გთხოვთ ასეთის საქმეების დასახმარებლად ყოველთვის მომმართოთო.

ერთხელ, როცა ამ სულით განათლებულმა და გულ-მხურვალე ქართველმა გიგო თურმე ნივთიერი ხელ-მოკლეობა ამაზედ სთქვა: მეტად დიდი შენობა დაუმოკვდა ის... მაგრამ ნათლით მოსილს იმისსა სახელს
უკვდავებისა სხივით მორთავს ერი ქართველი,
ქება-ქებათას არ მოაკლებს კეთილის მყოფელს
და საუკუნოდ ეხსომება სტეფანე ქველი.

ᲒᲔᲠᲒᲘ ᲩᲮ—ᲫᲔ.

*** ᲓᲦᲔᲡ, 26 ᲡᲔᲙᲓᲔᲛᲑᲔᲠᲡ, ᲙᲠᲔᲑᲐ ᲔᲥᲛᲜᲔᲑᲐ ᲢᲤᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲡᲐᲙᲝᲛᲔᲠᲪᲘᲝ ᲡᲐᲡᲬᲐᲕᲚᲔᲑᲚᲘᲡ ᲡᲐᲔᲙᲚᲔᲡᲘᲐᲡᲢᲘᲙᲝ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲬᲕᲠᲗᲐ.

*** ᲓᲦᲔᲡ. 26 ᲡᲔᲙᲓᲔᲛᲑᲔᲠᲡ, ᲓᲘᲚᲘᲡ 11 ᲡᲐᲐᲗᲖᲔᲓ, ᲙᲠᲔᲑᲐ ᲔᲥᲛᲜᲔᲑᲐ ᲥᲐᲠᲗᲣᲚ ᲬᲐᲠᲛᲝᲓᲒᲔᲜᲘᲡᲗᲐ ᲒᲐᲛᲛᲐᲠᲗᲕᲔᲚᲘ ᲐᲛᲮᲐᲜᲐ�გᲝᲑᲘᲡ ᲡᲮᲕᲐ ᲓᲐ ᲡᲮᲕᲐ ᲛᲘᲛᲓᲘᲜᲐᲠᲔ ᲡᲐᲙᲛᲔᲗᲐ ᲒᲐᲜᲘᲮᲘᲚᲕᲘᲡᲗᲕᲘᲡ. ᲙᲠᲔᲑᲐ ᲛᲝᲮᲓᲔᲑᲐ ᲥᲐᲠᲗᲣᲚ ᲗᲔᲐᲢᲠᲘᲡ ᲙᲐᲜᲪᲔᲚᲐᲠᲘᲐᲨᲘ, ᲡᲐᲡᲐᲮᲚᲘᲡ ᲥᲣᲩᲐᲖᲔᲓ, ᲘᲛᲔᲓᲘᲐ, ᲬᲔᲕᲠᲔᲑᲘ ᲓᲐᲔᲡᲬᲠᲔᲑᲘᲐᲜ.

*** 23 ᲡᲔᲙᲓᲔᲛᲑᲔᲠᲡ ᲮᲮᲓᲝᲛᲐ ᲰᲥᲝᲜᲓᲐ ᲥᲐᲚᲐᲥᲘᲡ ᲮᲝᲠᲪᲘᲡ ᲓᲣᲥᲜᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲛᲒᲔ ᲙᲝᲛᲘᲡᲘᲐᲡ, ᲠᲝᲛᲔᲚᲛᲐᲪ ᲒᲐᲜᲘᲮᲘᲚᲔᲗ ᲢᲤᲒ. ᲡᲐᲥᲐᲚᲐᲥᲝ ᲡᲐᲥᲛᲔᲗᲐ ᲡᲐᲒᲣᲑᲔᲠᲜᲘᲝ ᲡᲐᲙᲠᲔᲑᲣᲚᲝᲡ ᲓᲐᲓᲒᲔᲜᲘᲚᲔᲑᲐ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲥᲐᲚᲐᲥᲘᲡ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ-ᲛᲘᲔᲠ ᲓᲐᲓᲒᲔᲜᲘᲚᲘ ᲮᲝᲠᲪᲘᲡ ᲜᲘᲮᲠᲘᲡ ᲛᲝᲡᲞᲝᲗᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ ᲐᲠ ᲘᲥᲛᲔᲑᲐ ᲓᲐᲛᲢᲙᲘᲪᲔᲑᲣᲚᲘ. ᲙᲝᲛᲘᲡᲘᲐᲛ ᲒᲐᲜᲘᲮᲘᲚᲐ ᲔᲡ ᲡᲐᲙᲘᲗᲮᲘ ᲓᲐ ᲘᲛ ᲓᲐᲡᲙᲕᲜᲐᲛᲓᲔ ᲛᲘᲕᲘᲓᲐ, ᲠᲝᲛ, ᲗᲣ ᲐᲠᲡᲔᲑᲣᲚ ᲜᲘᲮᲠᲘᲗ ᲕᲘᲗᲔᲠᲗᲘᲡ ᲓᲣᲥᲜᲔᲑᲘᲡ ᲛᲝᲡᲞᲝᲗᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ ᲐᲠ ᲘᲥᲛᲔᲑᲐ ᲓᲐᲛᲢᲙᲘᲪᲔᲑᲣᲚᲘ. ᲙᲝᲛᲘᲡᲘᲐᲛ ᲒᲐᲜᲘᲮᲘᲚᲐ ᲔᲡ ᲡᲐᲙᲘᲗᲮᲘ ᲓᲐ ᲘᲛ ᲓᲐᲡᲙᲕᲜᲐᲛᲓᲔ ᲛᲘᲕᲘᲓᲐ, ᲠᲝᲛ, ᲗᲣ ᲐᲠᲡᲔᲑᲣᲚ ᲜᲘᲮᲠᲘᲗ ᲕᲘᲗᲔᲠᲗᲘᲡ ᲓᲣᲥᲜᲔᲑᲘᲡ ᲛᲝᲡᲞᲝᲗᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ ᲐᲠ ᲘᲥᲛᲔᲑᲐ ᲓᲐᲛᲢᲙᲘᲪᲔᲑᲣᲚᲘ. ᲙᲝᲛᲘᲡᲘᲐᲛ ᲒᲐᲜᲘᲮᲘᲚᲐ ᲔᲡ ᲡᲐᲙᲘᲗᲮᲘ ᲓᲐ ᲘᲛ ᲛᲘᲛᲔᲠᲔᲑᲘᲗ ᲥᲐᲚᲐᲥᲘᲡ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲛᲐᲮᲚᲝᲑᲔᲚ ᲡᲮᲓᲝᲛᲐᲡ, ᲒᲐᲜᲕᲐᲒᲠᲫᲝᲗ ᲥᲐᲚᲐᲥᲘᲡ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲛᲐᲮᲚᲝᲑᲔᲚ ᲡᲮᲓᲝᲛᲐᲡ, ᲗᲣ ᲛᲘᲜᲓᲐ ᲒᲐᲜᲘᲮᲘᲚᲕᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲗᲐᲜᲐᲛᲨᲠᲝᲛᲔᲚᲗᲐ ᲨᲠᲝᲛᲐ ᲓᲐ ᲛᲘᲜᲓᲐ ᲒᲐᲛᲝᲪᲣᲚᲘᲗ ᲨᲔᲛᲬᲘᲠᲕᲔᲚᲗᲐ ᲨᲠᲝᲛᲐ ᲓᲐᲣᲬᲘᲡ

კომისიის უკანასკნელს კრებაზედ განხილულ იქმნა საკანონ განსაკუთრებულ მომრიგებელ სასამართლოს ნაწილის დაარსების შესახებ, რომელმაც მხილველ ქალაქის საბჭოს მიერ გამოცემულ სავალდებულო დადგენილებათა დარღვევის გამო მასზედ ნაგებში მიცემულთა საქმეები უნდა განიხილოს. ეს სასამართლო უნდა შეინახოს ქალაქმა. პირველ ხანებში სასამართლოს დაარსებასს დასჭირდება ერთ ეამიერად 500 მან. და ყოველ წლივ 6,000 მან. კომისია იმ დასკვნამდე მივიდა, რომ განსაკუთრებულ მომრიგებელ სასამართლოს ნაწილის დაარსება მაინცა და მაინც აუცილებელი საჭიროება არ არისო და, გარდა ამისა, იმიტომ უფრო სამძიმოა ქალაქის ხარჯზედ მისი დაარსება, რომ ქალაქის ბიუჯეტს ისედაც ბევრი უფრო აუცილებელი საჭიროებანი აქვს დასაკმაყოფილებელი და სასამართლოს დაარსება კი ყველა ამას უკან დასწევსო.

*** პაუკასის სამხედრო ოლქის შტაბის დარბაზში გენერალურ შტაბის ოფიცრები დრო კამოშვებით გამართავენ ლექციების კითხვას რუსეთ-იაპონიის ომის თაობაზედ. სასურველია, რომ ამ ლექციებზედ, სამხედრო უწყების მოხელეთა გარდა, გარეშე ხალხსაც მისცემდნენ დასწრების ნებას.

*** ამ უკანასკნელ კვირაში ქალაქის სანიტარო-ს

ხესეშავა წავიდა კორეას, სადაც იქ მყოფ იაპონიის ჯარების უფროსობა უნდა ჩაიბაროს. კორეველთა ჯარს ან დაითხოვენ ან იაპონიის უფროსობის ქვეშ იქნებენ. ამის შემდეგ იაპონელებს შეძლება მაეცამათ, უკან დაახვევინონ რუსის ყაზახებსა.

ლონდონი. ოქუს ლაშქარში მყოფი კორესპონდენტი იუწყება, იაპონელებს აუარებელი სურსათი და სამხედრო მასალა მოაქვთ საზამთროდ რკინის გზითა, ნავებით ლიაოხესა და თაიციხეზე. რკინის გზა დაუყოვნებლივ მოქმედობს. ჯარები მოდის განუწყვეტლივ. მოწინავე რაზმთა შეტაკება მხოლოდ პირველსა და მეოთხე ლაშქრებს უხდებათ. ჯარებმა კარგად იიტანეს იქაური ჰავა, ავადმყოფთა რაოდენობა დიდი არ არის. ცივი დარი დგება.

შანჰაი. (რეიტერი). ნიუ-ჯუანთან იაპონელებმა შეიპყრეს ინგლისის გემი „სიშანი, რომელსაც გონკონგიდან მოჰყავდა პირატუცი საქონელი და ფქვილი პორტ-არტურისთვის.

ხარკოვი. აქ მოვიდა გენერალ-ადიუტანტი დრაგომიროვი, რომ გამოსახოვებოდა მე-14 დივიზიას, რომელსაც ის ღუნაიზე უფროსობდა, შეჰკრიბა აფიცრები და ჯარის კაცნი, დაარიგა და მსურველად უსურვა გამარჯვება, თვალცრემლიანი ემთხვია პოლკის სიწმინდეს—ბაირაღს, მოეხვია და გადაჰკოცნა ბაირაღტარი. გენერალი დრაგომიროვმა, დიდად აღელვებულმა, უსურვა მე-14 დივიზიას გამარჯვებით ბრძოლა მანჯურიაში ისე, როგორც აწინდელ ჯარის კაცთა მამანი იბრძოდნენ დაუნაზველ.

ნიუ-იორკი. ჩიკაგოდან ნიუ-იორკკი გაიგზავნა ოთხი წყალ-ქვეშ მავალი ნავი, ვგონებთ იაპონიისათვის.

25 სეკდმბერი.

ლონდონი, 25 სეკდ. (რეიტერი). კორესპონდენტის შეკითხვის პასუხად ლანსდოუნმა სთქვა: რადგანაც არც რუსეთმა და არც იაპონიამ არ გამოაცხადეს სურვილი, შევიწყნარებთ ბრიტანიის მთავრობის „შუა-კაცობასსა, ამიტომ ჩვენი მთავრობა იმ აზრისაა, რომ ამ ომად ამაო იქმნება ცდა მებრძოლთა მორიგებისა და ომიანობის მოსპობისა.

თიანჰინი, 24 სეკდ. (რეიტერი) იმ ცნობათა მიხედვით, რომელიც პორტ-არტურიდან მოდის, შესაძლოა დავსკვნათ, რომ იაპონელნი, თუმცა მრავალ ჯერ უკუ-ქცეულ იქმნა მათ მიერ მიტანილი იერიში და, თუმცა იაპონელებმა დიდი ზარალი ნახეს 7 სეკდემბერს, მაინც ახალის იერიშისათვის ემზადებიან. მართალია, რუსეთის წყალ-საცავნი ხელთ ვერ იგდეს იაპონელებმა, მაგრამ მაინც მათი ეუბარები სწვდება. სურსათი მისდით პორტ-არტურელებს დიდის კაპიტალით. ციხის სანგრეკი ზარბაზნები მიაქვთ დალნიდან და სდგამენ იმ მაღლობზედ, რომელიც ამართულია რკინის გზის სადგურ ზემოდ. მაშველი ჯარი დაუბრკოლებლივ მისდით. ალუა ჯერ-ჯერობით ისევ მტკიცედ აქვს ციხეს შემორტმული.

ნაგასაკი. (რეიტრი). იაპონიის აფიცრები, რომელიც პორტ-არტურთან ბრძოლაში იღებდა მონაწილეობას და რომელიც ეხლა იაპონიაში დაბრუნდა, ამბობს, იაპონელები შეუუნებლივ უანდოვდებიან ციხესსა. ალუა უფრო და უფრო გაადვილეს სურსათი ელევთ, ცხენების ხორცსა სკმენ.

შანჰაი. (რეიტრი). ეკსპედიციის გაგზავნა სახალინზე გადასდეს, რადგანაც დაგვიანებულია. შიდა ჩინეთში დიდი მძორაობა. მოხალენი ყველგან იარაღს და სამხედრო მასალას ამზადებენ.

ჩიფუ. (რეიტრი). სანდო წყაროდან იუწყებიან, ტოკიოდან მოვიდა დეპეშა, 7 დივიზია, რომელიც შესდგა ხაკაიდის სახალინში შესასვლად არის დამზადებული. არტურიდან ამბავი არა მოსულარა. ელდვა ისევ მძვინვარებს, მისვლა-მოსვლა შეუძლებელია.

ვაშინგტონი. (რეიტრი). დიპლომატთა და ფინანსისტთა შორის ცნობილია, რომ ახალ წლის შემდეგ იაპონია ეცდება დაიწყოს მოლაპარაკება დიდის სესხის აღების შესახებ ამერიკაში.

დროებით რედაქტორი **ბრ. ᲡᲘᲝᲤᲘᲫᲔ.**
გამომცემელი **Ა. ᲡᲐᲠᲐᲯᲘᲨᲕᲘᲚᲘ.**

გამოსადეგი ცნობანი:

ᲢᲔᲚᲔᲒᲠᲐᲤᲘᲡ ᲑᲘᲠᲯᲐ

21 სეკდემბერს 1904 წ.

ᲕᲔᲥᲡᲘᲚᲘᲡ ᲙᲣᲠᲡᲘ 3 თვეთ:

ლონდონში 10 გირვ. სტ.	93,90
ბერლინში 100 მარკაში	—
პარიეში 100 ფრანკში	37,37½
ლონდონში ჩეკები	94,50
ბერლინში „	46,30
პარიეში „	—
ბირჟის დისკონტი.	6—7½%
4% სახელმწიფო რენტა	91½ 5. გაკ.
4% სახ. სესხი 1902 ჭ.	—
4% გირავნ. ფურც. სახელ. საადგ. მაპაულო ბანკისა	88¾ მყიდ.
5% პირ. შინაგ. მომკ ბილ. 1864 წ.	386½ 5. გაკ.
5% მეორე შინაგ. სესხის მომგებ. ბილ. 1866 წ.	305 5. გაკ.
4% გირავნ. ფურც. სახელმ. საადგ.-მამ. ბანკისა.	256 5. გაკ.
5% ობლიგაციები ტფილ. საკრედიტო საზოგ.	—
4½% ობლიგაციები ივანე საზოგადოებისა.	—
4½% ტფილ. საადგ.-მამ. ბანკის გირავნ. ფურცელ.	—
5% გირავნობის ფურც. ივანე ბანკისა.	—
6% ქუთ. საად. მამ. ბანკის გირ. ფურცელ.	—
5% გირავნ. ფურც. ივანე ბანკისა.	87 5. გაკ.

საავადმყოფოები:

ᲥᲐᲚᲐᲥᲘᲡ ᲡᲐᲮᲐᲖᲘᲜᲝ ᲡᲐᲐᲕᲐᲓᲛᲧᲝᲤᲝ,—მიხეილის ქუჩა, სპეციალინო სახლი. ფასი საერთო ოთახში—12 მან. ცალკე ოთახში—60 მან. თვეში.

ᲥᲐᲚᲐᲥᲘᲡ ᲡᲐᲛᲙᲣᲠᲜᲐᲚᲝ.—მეუბრანის ქუჩა, სახლი ტერ-ოსიფოვისა. რჩევა უფასოა. ღარიბთათვის რჩევაცა და წამლობაც უფასოა. სამკურნალოს გამგე ექიმი გ. თარხანოვი.

ᲥᲐᲚᲐᲥᲘᲡ ᲡᲐᲛᲙᲣᲠᲜᲐᲚᲝᲡ ᲒᲐᲜᲧᲝᲤᲘᲚᲔᲑᲘ:

ᲐᲡᲐᲚᲐᲠᲘᲡᲐ.—ალბეთის ქუჩა, სახლი ტერ-ტეროვისა. გამგე ექიმი ი. იგიტიანცი.

ᲙᲣᲠᲘᲚᲘᲡ—ალექსანდროვის ქუჩა, სახლი მელქუმოვისა. ექიმი კ. გძელიშვილი.

ᲑᲐᲠᲗᲕᲘᲡᲘᲡ—ვორონცოვის ქუჩა, სახლი ედიგაროვისა. ექიმი თათევოსიანცი.

ᲗᲘᲤᲚᲘᲡᲘᲡ ᲡᲐᲛᲙᲣᲠᲜᲐᲚᲝ.—კრილოვისა და ველოკოტნიაკოვის ქუჩის კუთხე, სახლი ლიბერმანისა, № 15 (ლიბერმანის სტამბის ზემო სართულში). ავადმყოფთ უფასოდ აძლევენ რჩევას. სამკურნალოს გამგე-დირექტორის თანამდებობის აღმასრულებელი ექიმი ქალი პუტიატა.

ᲥᲐᲚᲐᲥᲘᲡ ᲡᲐᲐᲕᲐᲓᲛᲧᲝᲤᲝ ᲡᲣᲚᲘᲗ ᲐᲕᲐᲓᲛᲧᲝᲤᲗᲐᲗᲕᲘᲡ—უფასო, იმყოფება კოჯრის ქუჩაზე. ბარონ ტიზენგაუზენის და ეკუბოვის სახლში, ექიმი მ. გელეზანიშვილი.

ᲚᲘᲗᲝᲜᲘᲡᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲐᲕᲐᲓᲛᲧᲝᲤ ᲥᲐᲚᲗᲐᲗᲕᲘᲡ (საავადმყოფო იმყოფება ალექსანრში, ბეტრე-პავლეს ეკლესიასთან. 25 ადგილი უფასოა, 15 ადგილი—ფასიანი, თვეში 12 მან. გამგე ექიმი ისტამანოვი.

ᲑᲐᲓᲐᲛᲓᲔᲒᲘ ᲡᲔᲜᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲐᲕᲐᲓᲛᲧᲝᲤᲗᲐᲗᲕᲘᲡ უფასო საავადმყოფო. გაგზავნა ექიმი გულულიანცი.

ᲥᲐᲚᲐᲥᲘᲡ ᲣᲤᲐᲡᲝ ᲦᲐᲛᲘᲡ ᲗᲐᲕᲨᲝ-ᲡᲐᲮᲐᲠᲘ ᲡᲐᲮᲚᲔᲑᲘ:

1) ვორონცოვის ქუჩა, მეექვსე ნაწილი, სახლი ელექტრონეს.

2) დიდუბეში, სახლი გოლდლიუტინა.

მიმოსვლა რკინის გზის მაგარეულებისა ამ წლის 18 აპრილიდან.

(ფრჩხილებს კარგად სჩაეწერება ᲛᲔᲢᲠᲝᲞᲝᲚᲘᲡᲘᲡ საათი, ფრჩხილებს—ტფილისისა.)

ა) ტფილისიდან მიდის:

ᲑᲐᲙᲘᲡ: 1) სწრაფი № 20 (მარტო სამშაბათობით) ნაშუადღევის 5 ს. 27 წ. (6 ს. 23. წ.); 2) საფოსტო № 4 საღამოს 6 ს. 20 წ. (7 ს. 18 წ.); 3) სამგზავრო № 6 დამის 11 ს. 10 წ. (12 ს. 8 წ.); 4) საქონლისა და სამგზ. № 18 დილის 9 ს. 10 წ. (10 ს. 8 წ.).

ᲑᲐᲗᲣᲛᲘ: 1) სწრაფი № 1 საღამოს 10 ს. (10 ს. 58 წ.), 2) საფოსტო № 3 ნაშუადღევის 1 ს. 24 წ. (12 ს. 22 წ.) 3) სამგზავრო № 5 დილის 6 ს. 29 წ. (7 ს. 27 წ.)

ᲔᲠᲔᲕᲜᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲧᲐᲠᲡᲘ: 1) საფოსტო № 74/75 დამის 11 ს. 50 წ. (12 ს. 48 წ.); 2) საქონლ. სამგზ. № 90/91 ნაშუადღევის 2 ს. 31 წ. (3 ს. 29 წ.).

ᲑᲝᲠᲯᲝᲛᲘ: 1) სამგზავრო № 7/8 ნაშუადღევის 2 ს. 40 წ. (3 ს. 38 წ.); 2) სამგზავრო № 9/10 დილის 8 ს. (8 ს. 58 წ.).

ტფილისში მოდის:

ᲑᲐᲙᲘᲓᲐᲜ: სწრაფი № 19 (მხოლოდ პარასკევს), ნაშუადღევის 2 ს. 2 წ. (3 ს.); საფოსტო № 3 ნაშუადღევის 12 ს. 37 წ. (1 ს. 35 წ.); სამგზავრო № 5 დილის 5 ს. 52 წ. (6 ს 50 წ.); საქონ. სამგზ. № 17 საღამოს 7 ს. 49 წ. (8 ს. 47 წ.).

ᲑᲐᲗᲣᲛᲘᲓᲐᲜ: 1) წრაფი № 2 დილის 7 ს. 39 წ. (8 ს. 37 წ.), საფოსტო № 4 საღამოს 7 ს. 49 წ. (8 ს. 47 წ.); სამგზავრო № 6 საღამოს 10 ს. 35 წ. (11 ს. 33 წ.).

ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐᲜᲘ

ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲨᲘ

Ს. Გ. ᲗᲝᲤᲣᲠᲘᲐᲡ

ᲡᲐᲛᲙᲣᲠᲜᲐᲚᲝᲨᲘ.

რომელიც იმყოფება ᲗᲐᲗᲐᲡ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲝᲑᲘᲡ ᲑᲠᲐᲜᲒ ᲐᲦᲬᲘᲡᲮᲚᲔᲑᲘᲡ ᲝᲚᲓᲘᲜᲣᲠᲒᲘᲡᲐᲡ მფარველობის ქვეშე, 75 საწოლია შინაგან, ნერვებისა, საქირურგო, დედათა და თვალით ავადმყოფთათვის, მშობიარეთა. განყოფილებით და ქიმიო-მიკროსკოპიური გამოკვლევითა კაბინეტით. გადამდები სენითა და სულით ავადმყოფეთ სამკურნალო არ დებულობს.

ᲛᲘᲦᲔᲑᲘ ᲓᲦᲔ-ᲦᲐᲛᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲓᲐᲛᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲓᲐ ᲛᲣᲚᲘᲡᲗᲕᲘᲡ 1 ᲓᲐᲜ ᲓᲐᲛᲘᲡᲗᲕᲘᲡ 8 ᲡᲐᲐᲗᲐᲛᲓᲔ.

ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚ ᲥᲐᲚᲗᲐ ᲐᲛᲮᲐᲜᲐᲒᲠᲘᲡ ᲡᲐᲛᲙᲘᲠᲕᲐᲚᲝᲨᲘ დაიწყო მუშობა. მიიღებენ შესაკერად

ᲙᲐᲑᲔᲑᲘᲡ

ძლიერ იაფად, ოთხიდან ექვს მანეთამდე ფასსონს.

იქვე, სახელოსნოს მეორე განყოფილებაში, მიიღებენ შესაკერად ყოველ გვარ **ᲗᲝᲜᲗᲐᲠᲔᲣᲚᲘ, ᲛᲘᲦᲔᲑᲘᲡ** და მოსაქარგად აბრეშუმს—ფერადის ძაფებით, მუთაქა ბალიშს და სხვ.

ᲭᲠᲐ-ᲙᲔᲠᲕᲘᲡ კუოსებზედ მიიღებენ მოზრდილ ქალებს.

(4—344—1).

„ᲪᲝᲓᲜᲐ“-Ს

ᲬᲘᲒᲜᲘᲡ ᲨᲔᲓᲐᲒᲘᲐᲨᲘ

ისყიდება:

რაჰა სოსიკო მერკეელაძისა.	20 კ.
ლექსები ილია ჭავჭავაძისა—სურათით	15 კ.
რაშია ბედნიერება? ისე რაჭველისა.	10 კ.
სამშობლო და კაცობრობა ი. მაჰავარიან.	10 კ.
სიძღერა აკაკისა სურათით	15 კ.
წმიდა გიორგის რაზმი აკაკისა	5 კ.
გრიგოლ ორბელიანის ლექსები.	20 კ.
კულტურა ლიპერტისა ნათ. კ. ყიფიანისა	50 კ.
ლექსიკონი რუსულ-ქართული	50 კ.
ლექსიკონი სპა ორბელიანისა.	2 მ. 50 კ.
სახოკისა რუსულ-ქართულად.	20 კ.
სამეგრელოს საერო სკოლები ლ. ლოლუასი	5 კ.
ბაში აჩუკი აკაკისა	30 კ.
ვაჭრული ტკუა აკაკისა	5 კ.
პატარა ჩინეული (დედა ენა)	5 კ.
დათუნა გოცირიძე და რაჭის ეროსთავი, რომ.	5 კ.
ოკრუა (ხალხური ზღაპარი)	5 კ.
სამი ზღაპარი	10 კ.
აბრამის და იოსების ლექსი	3 კ.
თამარ მეფე სურათით	5 კ.
სურათი თამარ მეფისა დიდი	1—50 კ.
» » » პატარა.	» 6 კ.
თხზულება ია. ეკალაძისა	1— „
ქვათა ლაფდი ი. ჯავჯავაძისა	„—30 კ.
თარგმანი იგავ-რუსულად	„—50 კ.
დამაკვირები, ბრძენთა აზრები	„—50 კ.
მამიდა ანსმთი გ. წერეთლისა	„—20 კ.
თავ გადასავალი კოკუნა	1— „
სიტყვიერების თეორია ვ. კ.	1— „
ბლები კაცის ისტორია 2,3, და 4 ნაწილი	1—80 კ.
დამნიშვნელი ნათ. თ. ხაბოიანისა	1— „
ლექსიკონი ქართ.-რუს. ჩუბინაშვ. ყდ.	9— „
ამ გვარიგე რუსულ-ქართული ყდით	3— „
ლექსიკონი რ. ეოსთავისა ბოტანიკურ.	„—60 კ.
ანტონ ქათალიკოზ. ქართ. ლრამატიკა	1— „
ვახუშტის გეოგრაფია	2— „
ისტორ. სამუშაონი შინ მდგომის მონასტერ	„—50 კ.
ვეფხვის ტყაოსანი წ. კ. გამოცემული.	„—60 კ.
მზა მეტყველ. ბა ანტონ ქათალიკოზისა.	2— „
დაკით გურამიშვილი	1— „
ქართლის ცხოვრება I, II და III.	1—80 „
Вступл. Грузіи въ сос. Имп. Рос.	„—40 к.

ᲒᲐᲜᲘᲡᲐᲙᲣᲗᲠᲘᲗᲘ ᲜᲐᲬᲐᲠᲛᲝᲔᲑᲘᲐ.

(5—6—)

ᲡᲐᲙᲝᲛᲔᲠᲪᲘᲝ ᲙᲣᲠᲡᲔᲑᲘ

ქალებისა და ვაჟებისათვის

(Тифлисъ, Сололаки, Лермонтовская ул., № 9)

კურსების დანიშნულება ის არის, რომ სპეციალური საკომერციო განათლება შესძინოს მსურველთ, როგორც ქალებს, ისე ვაჟებს, და მოამზადოს ვაჭრობის შემწეობით ანგარიშის დახელოვნებით მცოდნეთ.

სწავლის გათავების შემდეგ მოწმობანი ეძლევათ. 1904—1905 სამოსწავლო წელს შემდეგი საგნები ექნება სასწავლებელი: 1) საკომერციო ეკანომია, 2) საკომერციო არითმეტიკა, 3) ბუღალტერია (მარტივი, ორკეცი და სამბანკო), 4) არითმეტიკა საანგარიშო ჩოთქი 5) საკომერციო მიწერ-მოწერა, 6) სავაჭრო და სათამასუქო წესდებანი, 7) მსწავლელ-წერა და წერა-გაკრული და შნოიანი (исправленіе дурнаго почерка)

სწავლა დაიწყება 15 სექტემბრიდგან. ახლად შემომსულელთა მიღება დაიწყობა 1 სექტემბრიდგან, ყოველ დღე, დილის 10 საათიდგან თორმეტამდე და საღამოს № საათიდგან 8 საათამდე. კურსების სადგომში, სახლი ალექსანდრე ფრიდრიხოვისა, 4 9, სერგეევსა და ალექსანდროვის ქუჩებს კუთხეში,

პროგრამამეტი და წესები კურსებისა უსასყიდლოდ შეიძლება მიიღოს მსურველმა კურსების სადგომში და გაეგზავნოს.

ვინც ქალაქს გარეშე სცხოვრობს, შეუძლიან წერილით მიმართოს კურსების დამაარსებელ ს. Ა. მანუელიანც, ტფილისს.

უფასოთ ვასწავლით მსურველთ საწერ მაშინაზე მუშაობას, კურსების სწავლა ყოველ დღეა. (24—23)

Ს.-ᲞᲔᲢᲔᲠᲑᲣᲠᲒᲘᲡ ᲙᲝᲛᲞᲐᲜᲘᲐ

„ᲜᲐᲓᲔᲟᲓᲐ“

ზღკათ, ᲛᲫᲘᲜᲐᲠᲘᲗᲐ და ᲛᲨᲘᲚᲔᲣᲚᲗᲘᲗ ᲒᲐᲒᲖᲐᲕᲜᲘᲚᲘ ᲡᲐᲭᲝᲜᲚᲘᲡ ᲓᲐᲡᲐᲖᲦᲕᲔᲕᲐᲓ, ᲢᲕᲘᲠ ᲘᲡ ᲒᲐᲡᲐᲒᲖᲐᲕᲜᲐᲓ და ᲥᲝᲜᲔᲑᲐᲗᲐ ᲪᲘᲪᲚᲔᲑᲘᲡᲒᲐᲜ ᲓᲐᲡᲐᲖᲦᲕᲔᲕᲐᲓ.

ᲓᲐᲐᲠᲡᲔᲑᲣᲚᲘᲐ 1847 ᲬᲚᲘᲡ

ᲛᲐᲠᲗᲘᲜᲐᲓᲐ	ᲗᲐᲜᲮᲘᲗ	1.650.000 მან.
ᲡᲐᲗᲐᲓᲐᲠᲘᲜᲐ	ᲒᲝ ᲗᲐᲜᲮᲘᲗ	2.664.808 მან.

ᲓᲐᲖᲦᲕᲔᲕᲘᲡ ᲝᲞᲔᲠᲐᲪᲘᲔᲑᲘ.

ა) დაზღვევა საქონლისა, რომელიც გასაგზავნია როგორც ხმელეთით, ისე ზღვით ირხეთ.

ბ) დაზღვევა ტეხლილისგან ყოველგვარ ქონებისა.

გ) დაზღვევა ყოველგვარ ხიფათისგან გზაში ნავთა ამა თუ ამ ნაწილისა, კამეთა, ბარჟებისა ვაგონებისა და ვაგონ-ვასტერნისა.

დ) დაზღვევა ცხენისა, რომელიც გადასტანა ფოსტათ ხმელეთით და ზღვაზედ მსოფლიო საფოსტო კავშირის ეგვალა ადგილს.

დაზღვევას კისრულობს როგორც კმკეთა ისე კომპანიის საკენტონი ᲧᲝᲚᲓᲒᲐᲜ-ᲡᲢᲠᲐᲜᲡᲘᲜᲒᲠᲘᲡ საკენტოს **ᲑᲠᲓᲐ**, ტეხლილისგან დაზღვევის ოპერაციას აკრიბო�en 350 ზედ მეტი განსაკუთრებით ტეხლილისგან დაზღვევის საკენტონი.

კმკეთა ს.-ᲞᲔᲢᲔᲠᲑᲣᲠᲒᲘᲡ **ᲙᲝᲛᲞᲐᲜᲘᲐᲡ ᲜᲐᲓᲔᲟᲓᲐᲡ**„-ი ს.-ᲞᲔᲢᲔᲠᲑᲣᲠᲒᲨᲘ, ᲐᲓᲛᲘᲠᲐᲚᲢᲘᲡᲢᲝᲡ ᲒᲝᲜᲘᲡᲬᲘᲛᲔᲑᲘᲗ, **ᲡᲐᲮᲚᲘ № 10.**

სახლო კაცნი და **რწმუნებულნი:** სოხოვნა ნავთსობის სექმეთაოვის—ბაქოში, ᲛᲫᲘᲜᲐᲠᲗᲐ ᲜᲐᲕᲗᲡᲝᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ—ნიჟნი-ნოვგოროდში.

ტფილისის საკენტო ქარხეულთა ოფად-ᲐᲮᲜᲣᲠᲝᲑᲘᲡ სახლში, ᲥᲐᲜᲒᲝᲡ ᲥᲣᲩᲐ, № 6, ტელეფონი № 433. (50—6—48)

ᲗᲘᲡᲐᲪ კი ᲒᲡᲣᲠᲗ ᲐᲘᲪᲘᲚᲝᲗᲐ ᲒᲐᲬᲣᲠᲓᲐ და ᲓᲐᲛᲘᲨᲕᲘᲓᲔᲑᲣᲚᲘ ᲘᲧᲘᲓᲔᲑᲘᲗ, მარტო 4 მან. 90 კაპ., საუფდამო, უკეთესად შემუშავებული ავტომატიური ხმაურობის გამომწეველი აპარატი **„ᲔᲜᲓᲛᲝᲚᲘᲐᲜᲘᲡᲚᲘ“**, მოწონებული ფინანსთა სამინისტოროს მიერ № 13,884.

შეგიძლიანთ დაჰკეფთო ყოველ გვარი სადგომი და საწყობი, ისინიც კი, რომელნიც იმყოფებიან თქვენგან მოშორებით. შეგიძლიანთ აგრეთვე წახვიდეთ სადმე დულ-გამშვიდებული, რომ არ გეშინოდეთ ქურდებისა. **„ᲔᲜᲓᲛᲝᲚᲘᲐᲜᲘᲡᲚᲘ“** ანიშნებს როგორც შიგნით, ისე გარეთ მყოფთაც. რაწამს დაუპატიჟებელი სტუმარი შეხვება კარებს, ფანჯარას ანუ კარებს გასაღებად, აპარატი **„ᲔᲜᲓᲛᲝᲚᲘᲐᲜᲘᲡᲚᲘ“**, გარედგან შეუშინებელი, გამოიწვევს საშინელ ხმაურობას, მარტო თოფის წამლის აფეთქებით, საშინი არ არის. ხმაურობა ისმის სადგომის შიგნითაც და გარეთაც და აგრედვე შორ მანძილზედაც. თუ სადგომის პატარა ზარს შეაერთებთ აპარატთან, მაშინ აპარატის ხმაურობასთან ერთად ზარი დაიწყებს წკარუნს, რომელ სადგომშიაც უნდა იყოს, და არ შეჩერდება ვიდრე სახლის პატრონთაგანი ვინმე არ შეაჩერებს.

„ᲔᲜᲓᲛᲝᲚᲘᲐᲜᲘᲡᲚᲘ“ საქიროა საყდრებისა, სახლებისა აგარაკებში, მაღაზიებისა, ბელლებისა, ჩარადებისა, სარდაფებისა, მარნებისა, თავლებისა და სხვა სადგომების გაქურდვისაგან დასაცავლად. როგორ აგვილშიაც უნდა იყოს სადგომი, სულ ერთია. ეს აპარატი მაგარი ნამუშავარია და ყველას ადვილად შეუძლიან იხმაროს.

ფასი გაგზავნით: ნიკელ გადაკრული აპარატი ᲦᲐᲠᲘ 4 მან. 90 კაპ., შეეერცხლილი—5 მან. 60 კაპ.; ფასს დადებით 10 კაპეიკით მეტი ᲦᲐᲠᲘ, აზიის რუსეთში კი 30 კაპეიკით მეტი. ვინც ᲪᲘᲛᲑᲘᲠᲘᲗ გიიწერს, უნდა გამოგზავნოს 2 მან. ბეთ. შეიძლება ფოსტის მარკებთ.

მსურველთ მოითხოვონ ამ ადრესით: **Т-во „Эндолянъ“. Варшава, Милая 37/105.**

ᲒᲐᲜᲘᲡᲐᲙᲣᲗᲠᲘᲗᲘ ᲜᲐᲬᲐᲠᲛᲝᲔᲑᲘᲐ.

(5—6—)



ᲡᲬᲝᲠᲘᲠᲔᲓ ᲛᲣᲥᲝᲗᲘᲐ,

ᲘᲢᲧᲘᲡ ᲧᲕᲔᲚᲐ, ᲕᲘᲜᲪ ᲒᲐᲛᲝᲬᲔᲠᲡ ᲩᲕᲔᲜᲒᲐᲜ

ᲛᲮᲝᲚᲝᲓ 5 Მ. 45 Კ. ᲩᲕᲔᲜᲘᲡᲐᲒᲐᲜ ᲒᲐᲒᲖᲐᲕᲜᲘᲗ.

უგზავნით 7 შემდეგს ნივთს: 1) **ᲡᲐᲐᲗᲘ** გაშვებული ფოლადისა, ქალისა ანუ კაცისა, მაგარის მექანიზმით, სწორის მუშაობით, 6 წლის ვადით ბუდდავანობით; 2) მეშის ბუდე საათისთვის; 3) **ᲫᲘᲠᲬᲘᲜ** საათისა, ქალისა ანუ კაცისა; 4) **ᲑᲠᲔᲚᲝᲙᲘ** ახალი ოქროისი „კომშესი“, ანუ „ბინოკული“ საინტერესო სანახავი ან სხვ.; 5) ტყავის ქისა. ფულისთვის მთელის ნაკრისა, 7 განყოფილებით და მყიდველის ბეჭდით; 6) **ᲛᲣᲨᲢᲣᲙᲘ** დ-რის კოხისა თამბაქოს მწეველთათვის, ანუ კალმის დანა; 7) **ᲝᲥᲠᲝᲡ ᲑᲔᲭᲓᲘ** Ე6 ᲨᲠᲝᲑᲘᲡ ან ᲧᲝᲠᲘᲡ ელექტრონის ფარანი, ანუ ტყავის ᲨᲝᲢᲚᲘᲡᲒᲐᲠᲘ ან მეშის ჩანთა ქამარზე ჩამოსაბმელი. თავსახურავიანი საათი გაგზავნება, ვინც 6 მ. 75 კ. გამოგზავნის.

შეკვეთილი ნივთები გაგზავნებათ დაუყოვნებლივ და ᲧᲔᲗᲘᲚ სინდისიერად ბეს გამოგზავნა საჭირო არ არის, ნივთები ფასდადებით გაგზავნებათ.

ადრესი: **ᲡᲐᲕᲐᲭᲠᲝ ᲡᲐᲮᲚᲘ ᲤᲔᲚᲘᲪᲘᲐᲜᲘ ᲓᲐ ᲙᲝᲛ., ᲕᲐᲠᲨᲐᲕᲐ, 36—333**

P. s. აზიის რუსეთსა და ᲪᲘᲛᲑᲘᲠᲨᲘ ნაწილი გზის ხარჯისა მყიდველთ გადასდებათ ნივთებიც მხოლოდ წინადვე ბეის მიღების შემდეგ გაეგზავნებათ. 3—5—3)

Допущено цензурою Тифлисъ 25 сентября, 1904 г. Тип. Е. И. Холадзе. Русск. базаръ, домъ арм. семинаріи